# ანგარიში

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2012 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ

სამინისტროს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა წარმოებდა „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

2012 წლის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტი გეგმით შეადგენდა 2065000 ლარს. საკასო ხარჯმა შეადგინა 2038899 ლარი. (დანართი №1)

მ.შ. სამინისტროს აპარატის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული იყო 1 086000 ლარი. საკასო ხარჯმა შეადგენა 1059899 ლარი, გეგმა შესრულებულია 97.6%-ით.




| | შრომის ანაზღაურება | საქონელი და მომსახურება | სხვა ხარჯები | სოციალური უზრუნველყოფა | არაფინანსური აქტივები | ვალდებულებები |
|---|---|---|---|---|---|---|
| გეგმა | 797300 | 212924 | 8000 | 5000 | 62200 | 576 |
| ხარჯი | 797300 | 188493 | 6573 | 4829 | 62128 | 576 |

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების ბიუჯეტის გეგმა 991 000 ლარია, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა – 979 000 ლარი, მ.შ. მიზნობრივი პროგრამის "მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა" ფარგლებში შეძენილი და ფერმერებზე გადაცემულია 378 ერთეული მრავალფუნქციური მოტობლოკი. რაც შეეხება მიზნობრივ პროგრამას „ფერმერთა უზრუნველყოფა თანამედროვე ტიპის ხილის საშრობი დანადგარებით" სრულად ვერ განხორციელდა მომწოდებლის (შპს „არმა კაპიტალი") მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების არ შესრულების გამო. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების პროცესში მომწოდებელზე საბანკო გარანტიის საფუძელზე გაცემული იქნა 18000 ლარი ავანსად, რომლის გადახდაც სხვა მიყენებულ ზარალთან ერთად (საწყობის საიჯარო ქირა და პირობის შეუსრულებლობაზე პირგასამტეხლო) სასამართლო გადაწყვეტილებით დაეკისრა შპს"არმა კაპიტალს.

დეპარტამენტის მიერ ყველა ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები დამუშავებული და ასახულია შესაბამის ბუღალტრულ დოკუმენტებში.

საანგარიშო პერიოდში კონტროლის პალატის მიერ სამინისტროს მთლიან სისტემაში ჩატარებული იქნა 2011 წელში გაწეული საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი და 2012 წლის სამი კვარტლის ფინანსური აუდიტი.

ჩატარებული აუდიტორული შემოწმებების შედეგად დარღვევა-ნაკლოვანებები არ გამოვლენილა.

დეპარტამენტში 6 თვიანი სტაჟირების კურსი გაიარა კონკურსით შერჩეულმა ერთმა სტაჟიორმა, ხოლო სასწავლო პრაქტიკა გაიარა 14 სტუდენტმა.

შემუშავებული იქნა სამინისტროს 2013-2016 წლების პრიორიტეტის დოკუმენტი და პროგრამული ბიუჯეტი.

დეპარტამენტი სისტემატიურად განიხილავდა და ითანხმებდა:

აიპ "აგროსერვის ცენტრის" და ლაბორატორიის ფინანსურ გეგმებს, კვარტალურ განწერებსა და ლიმიტებს, კვარტალურ ფინანსურ ანგარიშგებებს.

დეპარტამენტი მონაწილეობდა სამინისტროს სატენდერო კომისიაში.

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტში შემოსული და განხილულია - 82 კორესპოდენცია და გასულია 61 წერილი.

სახაზინო სამსახურს წარედგინა 131 ვალდებულება და შესაბამისად განხორციელდა 235 ტრანზაქცია.

## *მიზნობრივი პროგრამების მიმდინარეობა:*

**მიზნობრივი პროგრამა -,,მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა".**

სამინისტროს მრავალწლიანი (2011-2012წწ) მიზნობრივი პროგრამის - ,,მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა" საერთო ბიუჯეტი შეადგენდა 1 მლნ 489 046 ლარს. მათ შორის: 2011 წლისათვის - 489 046 ლარი, 2012 წლისათვის - 1 მლნ ლარი.

პროგრამის მიზანს წარმოადგენდა თანადაფინანსების პრინციპით ფერმერთათვის მრავალფუნქციური მოტობლოკებისა და მისი მაკომპლექტებელი აგრეგატების, ზურგსაკიდი შემასხურებელი აპარატისა და ძრავიანი ხელის სათიბი აპარატის მიწოდება.

პროგრამის სტრატეგია – ნიადაგის დამუშავებისას ხელით შესასრულებელი სამუშაოების ჩანაცვლება ტექნიკით, შრომის ნაყოფიერების ამაღლება, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების აგროვადებში შესრულება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობის გაზრდა და ხარისხის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში პროგრამის განხორციელების საჭიროება განაპირობა მცირე მექანიზაციაზე ფერმერთა მზარდმა მოთხოვნამ.

პროგრამის ფარგლებში გასულ წელს სამინისტროს მიერ შესყიდული იქნა 489 046 ლარის ღირებულების 76 ერთეული მრავალფუნქციური მოტობლოკი და 255 ერთეული ზურგსაკიდი შემასხურებელი აპარატი, რომლის მოსახლეობაზე დარიგება თანადაფინანსების პრინციპით დაიწყო მ/წლის თებერვლის თვიდან.

2012 წელს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს „ბოლნისის ტექნიკის" მიერ მოწოდებული იქნა 839 ერთეული ხელის სათიბელა (ძრავიანი) აგრეგატი, შპს „ჰერმესი"-ს მიერ იტალიური წარმოების **„Meccanica Benassi"** ფირმის 378 ერთეული მრავალფუნქციური მოტობლოკი და შპს „ალგომე"-ს მიერ 255 ერთეული ზურგსაკიდი შემასხურებელი (ძრავიანი) აპარატი.

საანგარიშო პერიოდში ფერმერთა მიერ ათვისებულია 378 ერთეული (100%) მოტობლოკი, 839 ერთეული (100%) სათიბი (ძრავიანი) აპარატი და 180 ერთეული (70%) ზურგსაკიდი შემასხურებელი აპარატი.

**მიზნობრივი პროგრამა** - ,,ფერმერთა უზრუნველყოფა თანამედროვე ტიპის ხილის საშრობი დანადგარებით"

სამინისტროს მიზნობრივი პროგრამის - ,,ფერმერთა უზრუნველყოფა თანამედროვე ტიპის ხილის საშრობი დანადგარებით" ფარგლებში გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საფუძველზე, სამინისტროსა და შპს ,,არმა-კაპიტალს" შორის 2012 წლის 30 მაისს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N51 ხელშეკრულება – ღირებულებით 30 000 ლარი, რომლის შესაბამისად შპს ,,არმა კაპიტალმა" აიღო ვალდებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მახასიათებლების შესაბამისი 25 ერთეული ხილის საშრობი დანადგარის მოწოდებაზე (ერთეულის ღირებულება 1200 ლარი). სამინისტროს მიერ, საბანკო გარანტიის საფუძველზე წინასწარი ანგარიშსწორების სახით შპს ,,არმა კაპიტალს" გადაერიცხა 18 000 ლარი. შპს ,,არმა-კაპიტალის" მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, კერძოდ დანადგარების ექსპლუატაციის პერიოდში

გამოვლენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო სამინისტრომ ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით 2012 წლის 12 ოქტომბერს ბათუმის საქალაქო სასამართლოში სამინისტროს მიერ წარდგენილი იქნა სარჩელი შპს ,,არმა-კაპიტალის" მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო წინასწარი ანგარიშსწორების სახით გადახდილი 18 000 ლარის და ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო სხვა თანხების დაკისრების თაობაზე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფლდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარჩელი წინასწარი ანგარიშსწორების სახით გადახდილი – 18 000 ლარის დაკისრების ნაწილში.

## 2012-2013 წლების ციტრუსის სეზონი

საპროგნოზო მონაცემებით ციტრუსის მოსალოდნელი მონაცემები 56 000 ტონას შეადგენს, მათ შორის მანდარინი 52 585 ტონა, ფორთოხალი 2 285 ტონა, ლიმონი 1 130 ტონა. ქობულეთის მუნიციპალიტეტში დამზადდება 30 975 ტონა, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში 21 200 ტონა, ბათუმის ახლად მიერთებულ ტერიტორიულ ერთეულებში 3 825 ტონა ციტრუსი.

რეგიონში ციტრუსს 22 800-მდე ფერმერი აწარმოებს, რომელთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა მიმდინარე წელს დროულად ჩაატარა ციტრუსოვანთა ბაღებში აგროტექნიკური და წამლობითი ღონისძიებები. ფერმერებმა ისარგებლეს საგაზაფხულო სამუშაოების ვაუჩერებით, ასევე განვადების საშეღავათო რეჟიმით შპს „ფერმერთა სახლისა" და შპს „აგროგეოს" სერვის ცენტრებში შეიძინეს მცენარეთა დაცვის საშუალებები და მინერალური სასუქები.

საექსპორტო ბაზარზე კონკურენტუნარიანი და მაღალხარისხიანი ციტრუსის მიწოდების მიზნით მიმდინარე წლის სეზონზე მოქმედებს 17-მდე ციტრუსის შემფუთავი საწარმო, სადაც ხდება პლასტმასის, მუყაოს და შპონის (ხის) ტარაში ხილის შეფუთვა, პალეტებად შეკვრა და ექსპორტირება. შემფუთავ საწარმოებს პლასტმასის (8-12 კგ ტევადობის) ტარით უზრუნველყოფს შპს „ჯეოპლასტიკი",

ხოლო შპონის (7-15 კგ ტევადობის) ყუთებს შპს „აგრო ტარა" (უკაინული ინვესტიცია).

მიმდინარე წელს ძირითადი საექსპორტო ქვეყნებს წარმოადგენენ უკრაინა, ბელორუსი, სომხეთი, აზეირბაიჯანი, მოლდავეთი, ყაზახეთი, სადაც დღეისათვის ექსპორტირებული იქნა 15 ათასი ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი.

ქ.ბათუმში ხორციელდება ციტრუსის ექსპორტირებისათვის საჭირო დოკუმენ-ტაციის გაფორმების პროცედურები. წარმოშობის სერტიფიკატს უფასოდ გასცემს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, ასევე აღნიშნულ სერტიფიკატს გასცემს აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატა და სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონალური სამმართველო და სსიპ შემოსავლების სამსახური (სერტიფიკატის ფასი – 25 ლარი).

სეზონზე შეუფერხებლად მუშაობს, როგორც საზღვაო, ისე საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტი. საბორნე თბომავლების მოწოდებას უზრუნველყოფს უკრაინულ-ბულგარულ-ქართული კომპანია „UBG", ხოლო საკონტეინერო მომსახურეობას გაუწევს შპს „MSC", ასევე რეგულარულად მოძრაობს სატვირთო ავტომობილების გადამტანი საბორნე თბომავალი "გრეიფსვალდი". რკინიგზის რონოდების გამოყოფასა და ჩიხში ჩაყენებას უზრუნველყოფს შპს „ბათუმი რეინ გრუპი".

საანგარიშო პერიოდში რეალიზებული იქნა 23 281 ტონა ციტრუსი, საიდანაც ექსპორტზე რეალიზებულია 15 019 ტონა. (დანართი №3)

### *ციტრუსის საკონსერვო გადამუშავება:*

მანდარინის არასტანდარტული ნაყოფის გადამუშავებას უზრუნველყოფს შპს ,,აქტივების მართვის ქართული ინდუსტრიული ჯგუფის" ქობულეთის საკონსერვო ქარხანა.

„საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 11 დეკემბრის № 1990 განკარგულების თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის ციტრუსის სეზონის მოსავლის აღების ღონისძიებათა ხელშეწყობისა და მეციტრუსეობის დარგში დასაქმებული მოსახლეობის

სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს გამოეყო 480 000 ლარი.

ციტრუსის არასტანდარტული ნაყოფის შესყიდვა ფერმერებისაგან დაიწყო საანგარიშო წლის 10 დეკემბერიდან. ფერმერებისაგან ერთი კილოგრამი ნაყოფის შესყიდვა 20 თეთრად ხორციელდება, რომელთაგანაც 12 თეთრს ანაზღაურებს საკონსერვო ქარხანა, ხოლო 8 თეთრს სახელმწიფო სუბსიდირების ფარგლებში. საანგარიშო წლის 30 დეკემბრის მდგომარეობით გადამუშავებულია 4873 ტ ციტრუსის არასტანდარტული ნაყოფი (დანართი №4).

„საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 დეკემბრის № 2063 განკარგულების თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის ციტრუსის სეზონის მოსავლის აღების ღონისძიებათა ხელშეწყობისა და მეციტრუსეობის დარგში დასაქმებული მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას გამოეყო 1 500 000 (მილიონ ხუთასი ათასი) ლარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპორტიორის მიერ მეციტრუსე ფერმერისაგან 1 კგ სტანდარტული მანდარინის შესყიდვის შემთხვევაში, ფიქსირებული თანხიდან 15 თეთრს იხდის სახელმწიფო.

## სუბტროპიკული ხურმის წარმოება-რეალიზაცია

2012 წლის სეზონზე სულ ექსპორტირებულია 5 250 ტონამდე სუბტროპიკული ხურმა, აქედან 3000 ტონამდე წარმოებული იქნა აჭარაში. სუბტროპიკული ხურმის ექსპორტი განხორციელდა 3 ქვეყანაში. მათ შორის: უკრაინა – 5150 ტონა, ბელორუსში – 61 ტონა, მოლდოვაში – 39 ტონა.

## სასურსათო პროდუქციის ფასები და ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლები

### სასურსათო პროდუქციის ფასების დინამიკა:

2012 წლის პირველ ნახევარში რეგიონის სამომხმარებლო ბაზრებსა და სასურსათო ობიექტებზე პირველადი მოთხოვნის სასურსათო პროდუქციაზე დაფიქსირდა ფასების მეტ-ნაკლები სტაბილურობა. კერძოდ, 1 ტომარა (50კგ-იანი) უმაღლესი ხარისხის პურის ფქვილის საბითუმო ფასი მერყეობდა 36 - 38 ლარის, ხოლო 1 ტომარა (50 კგ-იანი) შაქრის ფასი 79- 81 ლარის ფარგლებში.

მესამე კვარტლიდან მსოფლიო ბაზარზე ხორბლის ფასის მატებასთან დაკავშირებით, გაიზარდა უმაღლესი ხარისხის პურის ფქვილის ღირებულება და 1 ტომარა (50კგ-იანი) უმაღლესი ხარისხის პურის ფქვილის საბითუმო ფასი გაუტოლდა 47-49 ლარს.

საანგარიშო პერიოდში ფასების კლება დაფიქსირდა შემდეგ პროდუქტებზე: წიწიბურაზე 13.9 % - ით და შაქარზე -12.5 %-ით. რაც შეეხება ხორცპროდუქტებსა და ხილ-ბოსტნეულს, მათზე ფასების მკვეთრი ცვალებადობა არ დაფიქსირებულა.



## ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლები

საანგარიშო პერიოდში რეგიონში იმპორტირებულია 218 941.15 ათასი ლარის ღირებულების 198 859.15 ტონა სხვადასხვა დასახელების აგროსასურსათო პროდუქტი, ხოლო ექსპორტირებულია 25 363.8 ტონა, 24808.8 ათასი ლარის ღირებულების პროდუქტი. სოფლის მეურნეობისა და კვების პროდუქტების ექსპორტ-იმპორტის სავაჭრო სალდო უარყოფითია და 243 750 ათას ლარს შეადგენს. იმპორტის მაჩვენებელი 8.8 ჯერ აღემატება ექსპორტის მაჩვენებელს.

საანგარიშო პერიოდში აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის მიხედვით უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია უკრაინა, სადაც ძირითადად გადის ციტრუსი, დაფნა, ევკალიპტი და სუბტროპიკული ხურმა.

აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტში პირველ ადგილს თურქეთი ინარჩუნებს, საიდანაც ძირითადად ხილ-ბოსტნეული და საკონდიტრო ნაწარმი შემოდის, ხოლო იმპორტირებულ პროდუქციაში პირველი ადგილზე არის ხორბალი, რომლის რაოდენობამ 66 927 ტონა (36 647 ათასი ლარი) შეადგინა.

### 2012 წელს განხორციელებული სასურსათო პროდუქციის იმპორტის მაჩვენებლები (ტონა)



## 2012 წელს განხორციელებული სასურსათო პროდუქციის ექსპორტის მაჩვენებლები (ტონა)




## საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობები:

— სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების საპროგნოზო მონაცემების განსაზღვრა;

— მუნიციპალიტეტებში საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მზადებასთან დაკავშირებით ინფორმაციის მოკვლევა-დამუშავება;

— სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის განკუთვნილი 30 ლარიანი ვაუჩერის დარიგებისა და შემდგომ მისი გამოყენების (სასუქები, ხვნა-თესვა) შესახებ ინფორმაციის მოკვლევა-დამუშავება;

— 2012 წელს აგროსასურსათო სექტორში განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების შესახებ ინფორმაციის მოკვლევა-დამუშავება;

— ზურგსაკიდი შემასხურებელი, საცელავი აგრეგატების და მოტობლოკის მსურველი ფერმერების შესახებ მუნიციპალიტეტებიდან ინფორმაციის მიღება-დამუშავება;

— რეგიონის აგროსასურსათო სექტორში 2005-2012 წლებში განხორციელებული პროექტებისა და სამინისტროს სამომავლო პრიორიტეტების შესახებ პრეზენტაციის მომზადება;

— სამინისტროს 2011-2014 წლების სტრატეგიული გეგმის პროექტის, მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავება;

— ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის მიერ სანერგე მეურნეობის მოწყობის კოორდინაცია;

— რეგიონის აგროტურიზმის კატალოგისა და რეგიონის საინვესტიციო ტრიპლეტზე მუშაობა;

— ვაზის ადგილობრივი და ინტროდუქცირებული ჯიშების შესახებ კატალოგზე მუშაობა;

— რეგიონში რძის გადამამუშავებელი (ყველის წარმოება) საწარმოს შესახებ საინვეს-ტიციო პროექტის მომზადება;

— შპს „აქტივების მართვის ქართული ინდუსტრიული ჯგუფის" მიერ არასტან-დარტული მანდარინის დამზადების პროცესის მონიტორინგი;

— აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ვეტ.უბნების შექმნის პროექტზე მუშაობა;

— აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედი სამექანიზაციო ამხანაგობებთან თანამშრომლობის გეგმა-გრაფიკის, ამხანაგობებში ტექნიკის მდგომარეობის, მათი განახლების, განხორციელებული სამუშაოების მოცულობისა და ტარიფების შესახებ ინფორმაციის მოკვლევა-დამუშავება;

— სასმელი წყლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის გასატარებელი ღონისძიებების, არსებული ტარიფებისა და ლაბორატორიული კლევების შესახებ ინფორმაციის მოკვლევა-დამუშავება;

— რეგიონის კვების ობიექტებში და სასტუმროებში ქობულეთის საკონსერვო ქარხნის ნაწარმის ნიმუშების მიწოდება;

— ზურგსაკიდი შემასხურებელი და საცელავი ძრავიანი აგრეგატების მსურველ ფერმერებზე ტექნიკის გაცემის ორგანიზება;

— სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციის მოკვლევა-დამუშავება;

— ამერიკული თეთრი პეპელას გავრცელების ზონებისა და შესაწამლი ფართობების მოცულობის შესახებ ინფორმაციის მოკლევა ქ. ბათუმის, ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებიდან;

— მონიტორინგი რეგიონის სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ფქვილის, პურის, პურპროდუქტების და სხვა სასურსათო პროდუქციის მარაგებისა და ფასების შესახებ აგრარულ ბაზრებსა და საბითუმო ბაზრებში;

— აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წისქვილკომბინატებში არსებული ხორ-ბლისა და ფქვილის ნაშთების შესახებ ინფორმაციის მოპოვება-დამუშავება და საქარ-თველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის მიწოდება;

— სასურსათო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის მონაცემების მოპოვება-დამუშავება;

— რეგიონის გადამამუშავებელ მრეწველობაში განხორციელებული საქმიანობების შესახებ ინფორმაციის მოკვლევა-დამუშავება;

— რეგიონში ყავის წარმოების შესახებ ინფორმაციის მოკლევა-დამუშავება;

— რეგიონში რძისა და რძის პროდუქტების წარმოების შესახებ ინფორმაციის მომზადება ინვესტორებისათვის;

—რეგიონში მეფრინველეობისა და მეღორეობის შესახებ ინფორმაციის მომზადება ინვესტორებისათვის;

— 2012 წელს მწვანილის ექსპორტის შესახებ ინფორმაციის მოკვლევა-დამუშავება;

— საბითუმო და საცალო ბაზრებზე მინერალურ სასუქებზე ფასებსა და რაოდენობის შესახებ ინფორმაციის მოკვლევა-დამუშავება;

— ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის 2012-2016 წლების განვითარების შესახებ ბიზნეს-გეგმის მომზადება;

— შპს „საქართველოს სათბურების კომპანიის" მიერ ბოსტნეულის ჩითილების რეალიზაციის შესახებ ინფორმაციის მოკვლევა-დამუშავება;

— სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელ ფერმერთა მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ფერმერთა მოსავლის დაზღვევისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედოს" მიერ დაკრედიტებულ მეციტრუსე ფერმერთა შესახებ ინფორმაციის მოკვლევა-დამუშავება;

— საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტის ფარგლებში რეგიონის აგროტურებში მონაწილე ფერმერებისა და დასათვალიერებელი ობიექტების შესახებ ინფორმაციის მოკვლევა-დამუშავება;

***<u>შეხვედრები:</u>***

— გერმანული ორგანიზაცია **SGS-ის** პროექტის ფარგლებში **GLOBALGAP**-ის სტანდარტის დანერგვისა და შესაბამისი სერთიფიკატის მინიჭებასთან

დაკავშირებით მოლდაველ ექსპერტთან (სერგეი კროიტორი) ერთად ასოციაცია „სუბტროპიკი" -სა და შპს „აიკონ ჯგუფის" სასათბურე მეურნეობის დათვალიერება;

— შეხვედრა მუნიციპალიტეტის გამგებლებთან და თემის რწმუნებულებთან მოსახლეობისათვის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის განკუთვნილი 30 ლარიანი ვაუჩერის დარიგების წესებთან დაკავშირებით;

— რეგიონში მეციტრუსეობის განვითარების მიზნით თურქეთის რესპუბლიკის ქ. ადანას ჩუკუროვას უნივერსიტეტის სუბტროპიკული ხილის კლევისა და ექსპერიმენტალური ცენტრის პროფესორთან შეხვედრა;

— შეხვედრა კომპანია „კომდამანის" და „მირეფის" წარმომადგენლებთან რეგიონში რძის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოსა და მეცხოველეობის ფერმის მოწყობასთან დაკავშირებით;

— შეხვედრა ბუნებრივი რესურსების სააგენტოს შავი ზღვის სამსახურის უფროსთან და არასამთავრობო ორგანიზაცია „ფლორა და ფაუნას" წარმომადგენლებთან შავი ზღვის აკვატორიაში თევზის პერსპექტიული სახეობების, კერძოდ თინუსის ხელოვნურ მოშენებასთან დაკავშირებით;

—შეხვედრა რეგიონის ფერმერებთან აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა EPI -ს სამწლიანი საპილოტე პროექტის ფარგლებში რეგიონში აგროდაზღვევის ხელშეწყობის მიზნით;

— შეხვედრა ქ.ბათუმის აგრარული ბაზრის ხელმძღვანელობასთან სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით;

— „სასოფლო სამეურნეო მექანიზაცია და ნიადაგის დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიები" USAID მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში შეხვედრა რეგიონის ფერმერებთან;

— შეხვედრა რეგიონის ციტრუსის შემფუთავ და გადამამუშავებელი საწარმოს ხელმძღვანელებთან და ექსპორტიორებთან;

***<u>ტრენინგები, კონფერენციები, ღონისძიებები:</u>***

— დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ჯიმშერ დიასამიძე მონაწილეობდა შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს **(USAID)** ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა **(EPI)** პროექტის ორგანიზებით (ქ.თბილისში)

გამართულ ტრეინინგში: „ბოსტნეული კულტურების ეფექტური მართვა სასათბურე მეურნეობა"-ში;

— დეპარტამენტის უფროსმა ლევან ბოლქვაძემ მონაწილეობა მიიღო შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა (EPI) პროექტის ორგანიზებით ჩატარებულ ტრენინგში: „მანდარინის მოყვანისა და მოსავლიანობის გაუმჯობესება";

— სასოფლო სამეურნეო ტექნოლოგიებისა და რეფორმების განყოფილების უფროსი ირმა აფხაზავა დაესწრო კონფერენციას: „მცირე ფერმერთა ორგანიზების ხელშეწყობის პოლიტიკა საქართველოში", რომელიც გაიმართა ქ. თბილისში **FAO-**სა და ევროკავშირის ეგიდით;

— 2012 წლის 3 მაისს გამართულ ბიზნეს ფორუმში „საქართველო-თურქეთი" მონაწილეობის მიღება;

— 26 მაისს ქ.თბილისში გამართულ „სამრეწველო აღლუმი-2012" რეგიონის აგრო-სასურსათო სექტორში მოქმედი კომპანიების მონაწილეობის ორგანიზება;

— 2 ივნისს EPI-ის პროექტის ფარგლებში ორგანიზებულ ტრენინგში: „ახალი ნესტგამძლე მუყაოს ყუთები სოფლის მეურნეობის პროდუქციისათვის" რეგიონის აგროსასურსათო სექტორში მოქმედი კომპანიების მონაწილეობის ორგანიზება;

— 15 ივნისს გამართულ ანტალიის სამრეწველო პალატის წარმომადგენლებთან ბიზნეს ფორუმში მონაწილეობის მიღება;

— 19 ივნისს გამართულ დონორი ორგანიზაციების მე-2 საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა;

— 22-23 ივნისს გამართული საერთაშორისო ღონისძიების: „თანამედროვე ტექნოლოგიების დემონსტრირება აგრარულ სფეროში" ორგანიზება.

— აჭარის ტელევიზის პროგრამა „დროის ვექტორში", რუბრიკა „რჩევები ფერმერთათვის " სიუჟეტების მომზადება.

აგრარულ სექტორში დასახული პრიორიტეტების წარმატებით განხორციელების მიზნით, სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან, კერძოდ:

- **EU** და **UNDP (კონტრაქტორი ორგანიზაცია)**- პროექტი **SPSP –** „სექტორის განვითარების მხარდაჭერა", რომლის განაცხადი დამტკიცებულია და მისი

ამოქმედება მოხდება 2013 წლის დასაწყისში და გაგრძელდება სამ წელს. პროექტი ითვალისწინებს ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის, ფერმერული მეურნეობებისა და სამინისტროს ინსტიტუციონალურ განვითარებას. პროექტის ღირებულებაა 3 მილიონი ევრო.

- **USAID / EPI -** „მეციტრუსე ფერმერების სწავლება-კონსულტირება საველე პირობებში" ამერიკელი ექსპერტების მიერ. მეციტრუსე ფერმერებს ჩაუტარდათ ტრეინინგები ციტრუსის აგროტექნიკური ღონისძიებების მიმართულებით. განხორციელების ვადა: 2012 -2014 წლები.

- **USAID/EPI** 3 წლიანი აგროდაზღვევის საპილოტე პროექტი, რომელიც ხორციელდება თანადაფინანსების პრინციპით, საქართველოს ბანკისა და სადაზღვეო კომპანია "ალდაგი BCI"- ის ერთად. პროექტი ითვალისწინებს აგროპროდუქტების (თხილი, მანდარინი, კარტოფილი, ხახვი, ნიორი, ჭარხალი და სტაფილო) დაზღვევის პრემიის თანაგადახდას.

- ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს **G3 პროგრამის, Management Systems International** -ისა და პოლიტიკისა და მართვის კონსალტინგ ჯგუფის მხარდაჭერით შემუშავებული და 2012 წლის დასაწყისში დამტკიცებული იქნა სამინისტროს 2012 -2014 წლების სტრატეგიული გეგმა, რომელიც მოიცავს როგორც დარგის, ასევე სამინისტროს ინსტიტუციონალურ განვითარებას.

- **TIKA** (თურქეთის ეკონომიკური განვითარების სააგენტო) –პროექტი:

1. „ამერიკული თეთრი პეპელას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები ბიო–პრეპარატების გამოყენებით", პროექტი დამტკიცებული და განხორციელებულია. რეგიონის ფერმერებს გადაეცათ 150 ერთეული ზურგსაკიდი შემასხურებელი აპარატი და 250 ლიტრი ბიოლოგიური პრეპარატი Bio-Plus.
2. „მეფუტკრეობის განვითარება აჭარაში", პროექტი დამტკიცებული და განხორციელებულია. 20 ფერმერს გადაეცა 10–10 ფუტკრიანი სკა.

- **HEIFER GEORGIA** (ა.შ.შ.) - მიმდინარეობს მეცხოველეობისა და მეფრინველეობის გენოფონდის შექმნასთან დაკავშირებულ პროექტზე მუშაობა.

- **LEADER** (ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტრო და ლიტვის სოფლის მეურნეობის სამინისტრო), დამტკიცდა პროექტი თემაზე: ”აჭარის სოფლის განვითარების სპეციალისტთა ადმინისტრაციული უნარების გაძლიერება”. სამინისტროს სპეციალისტებსა და აგრარულ დარგში დასაქმებულ პირებს ჩაუტარდათ ტრეინინგები ბათუმსა და ვილნიუსში. პროექტის ღირებულებაა –20 ათასი ევრო.

– **ლიტვის საელჩო საქართველოში,** წარედგინა საპროექტო განაცხადი:“მტირალას ეროვნული პარკის ბუფერული ზონის ხელშეწყობა, მეფუტკრეობის განვითარებით“. პროექტი დამტკიცდა და განხორციელდა. სამ მეფუტკრეს აჭარაში გადაეცა 18 სკა „დადანტ ბლანტი“, თითოეული 20 კგ. თაფლით. პროექტის ღირებულებაა – 8,800 ლარი.

- **იაპონიის საელჩო საქართველოში** - საპროექტო განაცხადი “ხილის შესანახი სამაცივრე მეურნეობის მოწყობა“ დამტკიცებულია. მისი ღირებულებაა 120 ათასი ამერიკული დოლარი.

**GLOBAL GAP-ის** – სტანდარტის დანერგვა, გერმანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტო GIZ-ის მიერ, რაც ითვალისწინება მეციტრუსეთა ასოციაციაში ევრო სტანდარტის დანერგვას. პროექტი განხორციელებულია.

- **ჩეხეთის განვითარების სააგენტო** – ხულოს მუნიციპალიტეტის ორ სოფელში დიოკნისა და დიდაჭარაში დაფუძნდა მეკარტოფილეთა ორი კოოპერატივი. ფერმერებს ჩაუტარდათ სხვადასხვა ტრეინინგები მენეჯმენტში, მარკეტინგში. ასევე მათ დაურიგდათ კარტოფილის სვადასხვა თესლი და ტრაქტორები, თავისი აღჭურვილობით. პროექტის ღირებულებაა – 160.000 ევრო.

– **ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩო საქართველოში** – გადამზადება გაიარა სამინისტროსა და საქვეუწყებო დაწესებულების 14 წარმომადგენელმა აგრო სექტორის სხვადასხვა მიმართულებით. პროექტის ღირებულებაა –140 ათასი ამერიკული დოლარი.

**ისრაელი** – ხაიფაში, 2012 წლის 15–31 ოქტომბერს, მინისტრის თანაშემწემ ნარგიზ ბეჟანიძემ მონაწილეობა მიიღო ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების საგენტოს MASHAV, ისრაელის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საერთაშორისო აგრო თანამშრომლობის განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო ტრეინინგ კურსში

თემაზე: „ აგრობიზნესი –როგორც სოფლად მოსახლე ქალთა უფლებებისა და შესაძლებლობების გაზრდა– გაფართოების საშუალება“. პროექტის ღირებულებაა– 10 ათასი ა.შ.შ. დოლარი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტი მოქმედებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2007 წლის 3 აპრილის №32 დადგენილებით დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის 2007 წლის 5 ივნისის №01-06/44 ბრძანებით დამტკიცებული სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

**საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტის მიერ გაწეულ სამუშაოთაგან ავღნიშნავთ ზოგიერთ მნიშვნელოვანს, კერძოდ:**

I - სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში სსიპ - სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად, აჭარაში სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მიზნით სსიპ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სურსათის სააგენტოს შექმნასთან დაკავშირებით მომზადდა ,,სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში” ცვლილებებისა შეტანის თაობაზე კანონის პროექტი და აღნიშნული პროექტის საფუძველზე მომზადდა საქართველოს შესაბამის 2 კანონში, საქართველოს მთავრობის 12 დადგენილებასა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 15 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ნორმატიული აქტების პროექტები და შესაბამისი განმარტებითი ბარათები.

II - დეპარტამენტში მომზადდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ექვსი დადგენილებისა და შვიდი განკარგულების პროექტები და შესაბამისი განმარტებითი ბარათები, კერძოდ:

- ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2007 წლის 3 აპრილის №32 დადგენილებაში ცვლილებების, ,,საჯარო სამართლის

იურიდიული პირის – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის რეორგანიზაციისა და მის ბაზაზე საჯარო სამართლის იურიდიულ პირის - ტესტირების, სერტიფიკაციის ცენტრის შექმნის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების და მასში ცვლილებების შეტანის თაობაზე, ასევე ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სურსათის სააგენტოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტები, სულ 6 დადგენილების პროექტი.

- ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2011 წლის მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2011 წლის 18 იანვრის №7 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განკარგულების 2 პროექტი;

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამის ,,მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა" ფარგლებში შესასყიდი ტექნიკის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების ნებართვის თაობაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განკარგულების პროექტი;

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განკარგულების პროექტი ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2012 წლის მიზნობრივი პროგრამის დამტიკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №144 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

- ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის მის ბალანსზე რიცხული ამორტიზირებული ან გამოუყენებელი მოძრავი ქონების ჩამოწერის თანხმობის მიცემის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განკარგულების პროექტი და შესაბამისი განმარტებითი ბარათი.

- ,,აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ციტრუსის მოსავლის აღების ღონისძიებათა და მეციტრუსეობის დარგში დასაქმებული მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობისათვის გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განკარგულების პროექტი და შესაბამისი განმარტებითი ბარათი.

- ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2011 წლის მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ” აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2011 წლის 18 იანვრის №7 განკარგულებით დამტკიცებული მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში შესყიდული ტექნიკური საშუალებების განკარგვის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განკარგულების პროექტი და შესაბამისი განმარტებითი ბარათი.

III - დეპარტამენტში მომზადდა მინისტრის ორი ნორმატიული ბრძანების პროექტი, კერძოდ:

- ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და თემატიკის დამტკიცების შესახებ ”.

- ,,სახელმწიფო შიდა აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონში 2011 წლის 9 დეკემბერს შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით ,, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინიტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის 2007 წლის 5 ივნისის №01-06/44 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაოაზე“ ბრძანების პროექტი.

IV - განხილული იქნა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების პროექტები:

- ,,სატყეო მეურნეობის მართვის შესახებ” აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი;

- ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საგანგებო სიტუაციებაზე რეაგირები გეგმის დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტი და მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციები.

- ,,ტურიზმისა და კურორტების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი;

- ,,ფერმერთა ჯგუფებისა და გაერთიანებების შექმნის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტი და მასთან დაკავშირებული ცვლილებების პროექტები ცალკეულ საკანონმდებლო აქტებში.

- ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, ქვეპროგრამებისა და ღონისძიებების მომზადების, განხილვის, დამტკიცების, შესრულებისა და ანგარიშგების წესის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტი.

V - დეპარტამენტში მომზადდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - აგროსერვის ცენტრის წესდებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ოთხი ბრძანების პროექტები.

VI - დეპარტამენტში მომზადდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2011 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის საბოლოო ვერსია. ასევე მომზადდა იურიდიული დეპარტამენტის მიერ 2011 წელს გაწეული საქმიანობისა და 2012 წელს დაგეგმილი ღონისძიებების თაობაზე ინფორმაცია (საპრეზენტაციო ვერსია).

VII - დეპარატმენტში მიმდინარეობდა მუშაობა სამინისტროს 2012 წლის სამუშაო გეგმაზე.

VIII - დეპარტამენტში მიმდინარეობდა მუშაობა აჭარის რეგიონული განვითარების სტრატეგიის კორექტირებაზე და აღნიშნული სტრატეგიული გეგმის მონიტორინგისა და შეფასების გეგმაზე, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2012-2014 წლის სტარტეგულ გეგმაზე.

IX - დეპარტამენტში მიმდინარეობდა მუშაობა სამინისტროს რეგიონალური განვითარების სტრატეგიული გეგემის ტექსტურ და საპრეზენტაცია ვერსიების ცხრა თვის ანგარიშზე.

X - დეპარტამენტი აქტიურად იყო ჩართული სამინისტროს საერთაშორისო ღონისძიების ,,ახალი ტექნოლოგიების დემონსტრირება აგარაულ სფეროში" საორგანიზაციო საკითხებში.

XI - დეპარტამენტში მიმდინარეობდა მუშაობა შპს ,,ვეტერინარის" ფუნქციებისა და ამოცანების შემუშავების საკითხებზე.

XII - დეპარტამენტში მიმდინარეობა მუშაობა სამინისტროს 2013 წლის სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამებზე. განხილული იქნა შესაბამისი მიზნობრივი პროგრამების პროექტები და მომზადდა რეკომენდაციები.

XIII - დეპარტამენტში მიმდინარეობდა მუშაობა სამინისტროს მიზნობრივი პროგრამის ,,ფერმერთა უზრუნველყოფა თანამედროვე ტიპის ხილის საშრობი დანადგარებით" ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით სამართლებრივი ღონისძიებების გატარებაზე. მომზადდა სარჩელი და წარდგენილი იქნა ბათუმის საქალაქო სასამართლოში. ასევე, დეპარტამენტი მონაწილეობას ღებულობდა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამართულ სასამართლო სხდომებში.

XIV - დეპარტამენტში მიმდინარეობდა მუშაობა სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერის ფარგლებში შპს ,,ციტრო-ჩაი აჭარა 2006"-თან გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით სამართლებრივი ღონისძიბების გატარებაზე. მომზადდა სარჩელი და წარდგენილი იქნა ბათუმის საქალაქო სასამართლოში.

XV - დეპარტამენტში მომზადდა შესაგებელი შპს ,,ციტრო-ჩაი აჭარა 2006"-ს სარჩელთან დაკავშირებით და წარდგენილი იქნა სასამართლოში. ასვეე, მონაწილება იქნა მიღებული შპს ,,ციტრო-ჩაი აჭარა 2006"-ს მიერ სამინისტროს წინააღმდეგ წარდგენილ სარჩელთან დაკავშირებით გამართულ სასამართლო სხდომაში.

**XVI** - ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სერვისების" პროექტთან დაკავშირებით სამინისტროს, სსიპ – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის დებულებებისა  და ა(ა)იპ -აგროსერვის ცენტრის წესდების ანალიზის საფუძველზე მომზადდა შესაბამისი ინფორმაცია.

**XVII** - დეპარტამენტში მიმდინარეობდა მუშაობა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შუსრულებლობასთან დაკავშირებით კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების გატარებაზე.

**XVIII** - სამინისტროს საქმიანობის ირგვლივ  მომზადდა აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის მინისტრის **135** ბრძანების პროექტი.

**XIX** - დეპარტამენტში მომზადდა ან/და განხილული იქნა  სამინისტროს მიერ 2012 წელში  გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული და ელექტრონული ტენდერების სატენდერო დოკუმენტაციები, შესაბამისი ოქმები, ცნობები - ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ და შესაბამისი წერილები.

**XX** - შესწავლილი  იქნა:

- სამინისტროს მიზნობრივი პროგრამის ,,მექანიზაციის საშუალებებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა" ფარგლებში მრავალფუნქციური მოტობლოკების  ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვასთან დაკავშირებით გამოცხადებულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები და შესაბამისი დოკუმენტაცია. ასევე, მომზადდა ტენდერში  გამარჯვებულთან დასადები სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი.

- მიზნობრივი პროგრამის ,,ფერმერთა უზრუნველყოფა თანამედრო ტიპის ხილის საშრობი დანადგარებით" ფარგლებში გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ  ტენდერში  მონაწილე პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები და შესაბამისი დოკუმენტაცია. ასევე, მომზადდა ტენდერში  გამარჯვებულთან დასადები სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი.

- სამინისტროს ღონისძიების ,,ახალი ტექნოლოგიების დემონსტრირება აგარაულ სფეროში" ორაგნიზების მომსახურების შესყიდვასთან, სამინისტროს მიერ დაგეგმილი ღონისძიების ,,აგროსასურსათო ბაზრობების მოწყობის" ორგანიზების მიზნით კონსტრუქციული მასალებისა და ანალოგიური ნივთების, საკანცელარიო საქონლის, სადაზღვევო მომსახურების, საბეჭდი ქაღალდის, სამინისტროსათვის ავტომანქანის შესყიდვასთან, სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტომანქანის დაზღვევისა და სხვა სახელმწიფო შესყიდვის თაობაზე გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერებში მონაწილე პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები და შესაბამისი დოკუმენტაცია. ასევე, მომზადდა ტენდერში გამარჯვებულებთან დასადები სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტები.

XXI - სხვა საქმიანობები:

- დეპარტამენტში შემუშავებული იქნა სამინისტროს სატიტულო ბლანკისა ახალი ფორმა, რომლიც დამტკიცებული იქნა მინისტრის ბრძანებით და გამოიყენება სამინისტროს საქმისწარმოებაში.

- სამინისტროში სტაჟიორთა შერჩევისა და სტაჟიორთა კონკურსის ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით მომზადდა შესაბამისი წერილების, ბრძანებებისა და ოქმების პროექტები.

- დეპარტამენტი თანამშრომლობდა კონტროლის პალატის წარმომადგენლებთან, ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მიწოდების სახით.

- დეპარტამენტი თანამშრომლობდა საქართველოს ფინანსთან სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან, ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მიწოდების სახით.

- მომზადდა სამინისტროს, სამინისტროს სისტემის დაწესებულებათა და სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებების კოდიფიცირებული ვერსიები.

- მონაწილეობა იქნა მიღებული სამინისტროს საქმიანობის ირგვლივ შექმნილი ცალკეული კომისიების, კერძოდ: სატენდერო კომისიის, მატერიალური

წახალისებისა და პრემიების განაწილების კომისიის, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლის ჯგუფიის და სხვა.

- მომზადდა სხვადასხვა ინფორმაცია სხვადასხვა ნორმატიულ აქტებში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე.
- დეპარტამენტში სამართლებრივი ექსპერტიზა გაიარა სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებში მომზადებულმა სამართლებრივი აქტების პროექტებმა;
- მომზადდა და სამართლებრივი ექსპერტიზა გაიარა სამინისტროს საქმიანობიდან გამომდინარე გასაფორმებელი ხელშეკრულებებისა და ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმებების პროექტებმა;
- საჭიროების შემთხვევაში განხორციელდა მინისტრის, მინისტრის პირველი მოადგილის, მინისტრის მოადგილეებისა და სამინისტროს სხვა საჯარო მოსამსახურეთა ინფორმაციულ - ანალიტიკური უზრუნველყოფა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან დაკავშირებით.
- სამინისტროს სისტემის დაწესებულებს გაეწიათ მეთოდოლოგიური დახმარება.
- მინისტრის 2007 წლის 24 აპრილის №01-06/35 ბრძანებით იურიდიული დეპარტამენტის უფროსი დანიშნულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვ დომობაზე პასუხისმგებელ პირად, შესაბამისად დეპარტამენტში მიმდინარეობს მუშაობა ამ მიმართულებითაც.

**საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით დეპარტამენტში შემოვიდა ცამეტი კორესპონდენცია, კერძოდ:**

- ,,ტელეარხი 25” – (რეგ.№1-დ), 11.01.2012 წელი;
- დემოკრატიის ინსტიტუტი - №01/812, 20.01.2012 წელი;
- ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი - №20120319, 15.03.2012 წელი;
- ,,ტელეარხი 25” – (რეგ. №36-ა), 23.04.2012 წელი;
- ,,გაზეთ ბათუმელები” - №2/42, 24.04.2012 წელი;

- დემოკრატიის ინსტიტუტი - №04/861, 25.04.2012 წელი;
- საერთაშორისო გამჭირვალობა - საქართველოს ბათუმის რეგიონალური ოფისი №08/ბ -011, 06.06.2012 წელი;
- საერთაშორისო გამჭირვალობა - საქართველოს ბათუმის რეგიონალური ოფისი №08/ბ -023, 18.06.2012 წელი;
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ბათუმის ფილიალი - №გ-01/75, 17.07.2012 წელი;
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ბათუმის ფილიალი - №გ-01/97, 17.07.2012 წელი;
- ,,ტელარხი 25" – (რეგ.№457), 24.07.2012 წელი;
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ბათუმის ფილიალი - №გ-01/107, 07.08.2012 წელი;
- სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალი – (რეგ.№633), 04.12.2012 წელი.

➢ **საანგარიშო პერიოდში გავლილი ტრეინიგები:**

- 2012 წელის 12-13 იანვარს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი თამილა გაბაიძე დაესწრო USAID ორგანიზებით ჩატარებულ ტრეინინგს თემაზე - ,,მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტები და ფორმატი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონალური განვითარების სტრატეგიისათვის".

- 2012 წლის 6-8 მარტს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით ჩატარებულ ტრეინინგში თემაზე - ,,მედიატორის საბაზისო უნარ-ჩვევები" მონაწილეობას ღებულობდა იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ნინო ზაქარიაძე.

- 2012 წლის ივნისის თვეში იურიდიული დეპარტამენტის უფროსი თამილა გაბაიძე დაესწრო USAID ორგანიზებით ჩატარებულ ტრეინინგს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონალური განვითარების

სტრატეგიისათვის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავებასთან დაკავშირებით.

- 2012 წლის 2 ივლისს იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ნინო ზაქარიაძე დაესწრო ინფრომაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების სააგენტოს (USAID) პროგრამის ,,დემოკრატიული მმართველობა საქართველოში" (G-3) ფაგლებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საუკეთესო პრაქტიკის კვლევასთან დაკავშირებით სემინარს.

**საანგარიშო პერიოდში დეპარტმენტსში შემოვიდა და განხილული იქნა სხვადასხვა სახის 181 წერილი და ოფიციალური კორესპონდენცია და მომზადდა 197 წერილის, ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებით მინისტრის 135 ბრძანების პროექტი.**

საანგარიშო პერიოდში მომზადდა სამინისტროს ძირითად საქმიანობაზე - 167 ბრძანება, პირად შემადგენლობაზე – 39, მივლინება- შვებულებაზე – 234 ბრძანება.

რაც შეეხება კორესპონდენციის ბრუნვის შესახებ ინფორმაციას, წარმოდგენილია ცხრილში №2.

**სამინისტროს კორესპოდენციის მიმოქცევა**

1.01.12 - 31.012.12

| კორესპოდენციის ბრუნვა | | განკარგულება | ბრძანებები | დადგენილება | წერილები | განცხადებები |
|---|---|---|---|---|---|---|
| შემოსული | მთავრობა | 18 | 15 | 7 | 39 | |
| | წარმოება-დაწესებულ. | | | | 335 | |
| | სამინისტროები | | | | 90 | |
| | მუნიციპალიტეტები | | | | 233 | |
| | მოქალაქეები | | | | | 688 |
| გ | მთავრობა | | | | 73 | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | წარმოება-დაწესებულ. | | | | 470 | |
| | სამინისტროებში | | | | 161 | |
| | მუნიციპალიტეტებში | | | | 140 | |
| | მოქალაქეებზე | | | | 380 | |
| | გაცემული ცნობები | | | | 81 | |

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს თავისი საქმიანობის საჯაროობისა და გამჭირვალობის მიზნით მჭიდრო კონტაქტი აქვს, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ საინფორმაციო საშუალებებთან (ტელევიზია, რადიო, საგაზეთო პუბლიკაციები), მათი მეშვეობით რეგულარულად შუქდება სხვადასხვა სფეროები, ახალი საწარმოების ამოქმედება, მიზნობრივი პროგრამების მიმდინარეობა და დარგში არსებული პრობლემები. კერძოდ:

| | № | დასახელება | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| ტელევიზიებისთვის მიცემული ინტერვიუ | 1. | ადგილობრივი ტელევიზიები – ,,აჭარის ტელევიზია" ტელეკომპანია - ,,TV-25", | 186 |
| | 2. | ცენტრალური ტელევიზიები – ტელეკომპანია ,,იმედი", ტელეკომპანია ,,რუსთავი -2" მეცხრე არხი, ინფო- 9, მაესტრო, საზოგადოებრივი მაუწყებელი ,,პირველი არხი" | 72 |
| ტელე-რადიო სავტორო პროგრამებში მონაწილეობა | 3. | აჭარის ტელევიზიის სავტორო პროგრამა - ,,დროის ვექტორი", ტელეკომპანია ,,TV-25" –ს სავტორო პროგრამა - ,,დიალოგი" აჭარის რადიოს საავტორო პროგრამა - ,,კომპეტენტური პირი" | 87 |
| გამოქვეყნებული სტატიები | 4. | გაზეთი - ,, აჭარა" გაზეთი - ,,ბათუმელები" | 78 |
| სულ: | 5. | | 423 |

**განხორციელებული შიდა აუდიტორული შემოწმებები**:

1. ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ საბიუჯეტო ასიგნებებისა და საკუთარი შემოსავლების ხარჯვის მიზნობრიობის შესაბამისობის აუდიტი;
2. აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 აპრილამდე პერიოდში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების კანონიერების შესაბამისობის აუდიტი;
3. მიზნობრივი პროგრამის - ”მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა“ ფარგლებში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი;
4. მიზნობრივი პროგრამის - ”მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა“ ფარგლებში გაფორმებული №25 ხელშეკრულებით მოწოდებული მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების განაწილების კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი;
5. ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ საბიუჯეტო ასიგნებებისა და საკუთარი შემოსავლების ხარჯვის კანონიერების შესაბამისობის აუდიტი

**ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები**

1. **ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ საბიუჯეტო ასიგნებებისა და საკუთარი შემოსავლების ხარჯვის მიზნობრიობის შესაბამისობის აუდიტი**

ა) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ინსტრუქციის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად მიზანშეწონილია დაფინანსების წყაროს ფარგლებში შედგეს კონკრეტული გეგმა;

ბ) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად მრავალწლიანი შესყიდვის განხორციელებისათვის

სავალდებულოა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა და შეტყობინების სახით გაცნობა სააგენტოსათვის.

გ) ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრს“ საბანკო ანგარიში გახსნილი აქვს სს „საქართველოს ბანკის “ ბათუმის ფილიალში აჭარის ა.რ. რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს თანხმობის გარეშე, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 107-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებს.

2. **აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 აპრილამდე პერიოდში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების კანონიერების შესაბამისობის აუდიტი**

ა) მიზანშეწონილია ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ დოკუმენტი სისტემაში აიტვირთოს ასატვირთ პირველივე ოქმთან ერთად;

ბ) მიზანშეწონილია დამტკიცებული წლიური გეგმა შესაბამისობაში იყოს „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის №7 ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებთან, კერძოდ ეს ეხება დანაყოფის დასახელებებთან დაკავშირებულ უზუსტობებს.

გ) მიზანშეწონილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის შესაბამისად საქონლის გამარტივებული შესყიდვის წესით შეძენისას დაცული იქნას შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება.

3. **მიზნობრივი პროგრამის - ”მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა“ ფარგლებში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი**

ა) მიზნობრივი პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნას მოსაწოდებელი საქონლის ფერმერებზე გაცემამდე უსაფრთხო და საიმედო შენახვის ვალდებულება.

ბ) მინისტრის 2012 წლის 26 მარტის №45 ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დავალებები არ არის სათანადოდ და თანმიმდევრულად შესრულებული, რაზედაც კონტროლის ჯგუფის მხრიდან არ არის წარმოდგენილი

შესაბამისი მოხსენებითი ბარათი შეუსრულებლობის მიზეზის შესახებ. მიზანშეწონილია მინისტრის ბრძანებით მიღებული დავალებები სრულდებოდეს სრულყოფილად.

გ) ხელშეკრულების მე-10 პუნქტის მოთხოვნების სრულფასოვნად და შეუფერხებლად შესრულების მიზნით მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად ფერმერებს უნდა გადაეცეს შესაბამისი დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც უზრუნველყოფილი იქნება საგარანტიო პირობების შესაბამისად ერთწლიანი ხელმისაწვდომი საგარანტიო მომსახურება.

4. **მიზნობრივი პროგრამის - "მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა" ფარგლებში გაფორმებული №25 ხელშეკრულებით მოწოდებული მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების განაწილების კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი**

ა) მიზნობრივი პროგრამის განხორციელებაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება სამინისტროს, თუმცა ყველა ფერმერის განცხადებების განხილვა სამინისტროში არ მოხდა, რამაც წარმოქმნა ტექნიკის ობიექტურად განაწილებას შეუქმნა გარკვეული რისკი.

ბ) სამინისტროს მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე განაწილების კომისიას უნდა შეემუშავებინა განაწილების უფრო ეფექტური კრიტერიუმები და განესაზღვრა მათი პრიორიტეტულობა, ფერმერთა კონსოლიდაციის ხელშეწყობის მიზნით მეტი უპირატესობა მიენიჭებინა კოლექტიური განცხადებებისათვის. ამასთან, მიზნობრივი პროგრამის მეტი გამჭვირვალეობისა და სანდოობის უზრუნველყოფის მიზნით პროგრამით უნდა იყოს განსაზღვრული ტექნიკის განაწილების კრიტერიუმები.

გ) კომისიის მიერ დამტკიცებული კრიტერიუმების სრული დაცვით პროგრამაში ჩართვის მსურველ ფერმერთა შერჩევის უზრუნველყოფის მიზნით, შემოსული განცხადებები და მუნიციპალიტეტების გამგეობებიდან გადმოგზავნილი სიები უნდა შეიცავდეს დადგენილი განაწილების კრიტერიუმების შესაბამისად ბენეფიციართა აუცილებელ მონაცემებს, ამ მიზნით სასურველია განაწილების კომისიამ წინასწარ შეიმუშავოს განაცხადის ფორმა.

დ) ტექნიკის მუნიციპალიტეტებზე განაწილება სასურველია კომისიამ მოახდინოს დასამუშავებელი მიწების რთული მთა-გორიანი რელიეფის, მძიმე ტექნიკით ხვნა-თესვის სამუშაოების ჩატარების შეზღუდული შესაძლებლობის და მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების გამოყენების მეტი შესაძლებლობის, თემებისა და სოფლების მიხედვით მცხოვრები კომლების რაოდენობის, არსებული დასამუშავებელი მიწების ფართობების და მუნიციპალიტეტების მიხედვით ტექნიკის მსურველ ფერმერთა განცხადებების სიმრავლის და ა.შ. შესაბამისი პროპორციით.

ე) ფერმერებს, რომლებიც ვერ იქნენ ჩართული პროგრამაში, მიზანშეწონილია გაეცეთ დასაბუთებული პასუხი წერილობითი ფორმით მათ მიერ წარმოდგენილ განცხადებაზე.

ვ) აუდიტის ობიექტმა შემდგომი მუშაობის პროცესში ტექნიკური საშუალებების ყველა ერთეულის განაწილების დროს იხელმძღვანელოს პროგრამით დამტკიცებული ფერმერთა შერჩევის კრიტერიუმების სრული დაცვით.

**5. ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ საბიუჯეტო ასიგნებებისა და საკუთარი შემოსავლების ხარჯვის კანონიერების შესაბამისობის აუდიტი**

ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ანგარიშსწორება მომწოდებელთან განხორციელდეს ვადების დაცვით და წარმოდგენილი საგადასახადო დოკუმენტაციის და შესაბამისი მიღება-ჩაბარების გაფორმების შემდეგ;

ბ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის №9 ბრძანების მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად „ტენდერის ჩატარების შედეგად დადებულ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების/დამატების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება/დამატება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით და აიტვირთოს სისტემაში ხელშეკრულებაში ცვლილების/დამატების შეტანიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღეს;

გ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 418 მუხლი თანახმად, რომელიც იძლევა პირგასამტეხლოს თავისუფლად განსაზღვრის საშუალებას, მიზანშეწონილია აუდიტის ობიექტმა შემდგომ პერიოდში განსახორციელებელ შესყიდვებში წინასწარი ანგარიშსწორების დროს ხელშეკრულების პირობებში გაითვალისწინოს ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მომწოდებლისათვის დასაკისრებელი

შესაბამისი პირგასამტეხლოს ოდენობა, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ფულის ღირებულება.

გაცემული რეკომენდაციები ნაწილობრივ გათვალისწინებული იქნა აუდიტის ობიექტის მიერ, ხოლო ნაწილი რეკომენდაციებისა მათი განმარტებით გათვალისწინებული იქნება შემდგომი მუშაობის პროცესში.